№ 665 ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი. 1896—1898 ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი № 665

სტამბა და რედაქცია ტფილისი, სასახლის ქ., სათ.-აზნაური ქარვასლა.
ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციას დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—7 და „წ. კ. საზ." წიგნის-მაღაზიას.
ხელ-მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.
პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონა № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ ვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція „Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул. д. Дворянства.
Телефонъ № 363

ქართველ საზოგადოების საყურადღებოდ




ქართველ ხელოსანთა ამხანაგობა „შრომა".

ტფილისის ქართველ ხელოსნებმა დიდი ხნის სურვილი განიხორციელეს, შეადგინეს ამხანაგობა და გახსნეს საამხანაგო ქარხანა.

ქარხანა იღებს პირიანად და იაფად აკეთებს საქმეებს: სადურგლოს, სასტალროს, საჩუქურთმოს, სახარატოს (ტოკარი)

იაფად და ხმელის მასალისას.

აქვს ზალდებს: მაგიდებს, შკაფებს, კამოდებს, კრაოტებს, ბუფეტის შკაფებს, შენობებისთვის კარს, ჩარჩოს და სხვა, ყველანაირს ხის საქონელს. მუშტარი მოიკითხავს ქარხანაში უფროსს ოსტატს, რომლისაგანაც შეიტყობს ყოველს ნივთზე გადაწყვეტილს ფასს.

მმართველობა ამხანაგობისა სასტიკს ყურადღებას მიაქცევს, რომ ფასები ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, მასალა მშრალი და საქმე შესრულებული დაპირებულ ვადაზე.

პატივის-ცემით: გამგეობა „შრომის" ამხანაგობისა

ადრესი: ხიდზედ, მუხრან-ბატონის შენობაში. (100—44)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ბ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ბ. თოფურია. საქირურგო ავადმყოფობას და სიფილისს ფ. კ. გერატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

20 მაისიდამ—დედათა ავადმყოფობის და აკუშერობის D-r ფ. გაცევიჩი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. ვარშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტია საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საყისთვის.

სამკურნალო დირექტორი ს. ბ. თოფურია.

Лѣчебница С. В. Топуріа въ Кутаисѣ.

კბილის ექიმი

ალექსანდრე სოლოლაშვილი

მიიღებს ავადმყოფებს ყოველდღე, დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე

მიხეილის ქუჩა № 32

(30—22)

დოქტორი მედიცინისა და ქირურგი

ბენკლევსკი

ავადმყოფებს ღებულობს დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

გრიბოედოვის ქუჩა, არშაკუნისეული სახლი № 30.

Докторъ медицины и хирургъ

БЕНКЛЕВСКІЙ

Грибоѣдовская № 30, д. бывш. Аршакуни. (წ.)

# ახალი ამბავი

—

*** ისტორია საქართველოს ეკლესიისა. დღემდე რუსულს ენაზე არ იყო სახელმძღვანელოსებურად შედგენილი ისტორია საქართველოის ეკლესიისა. ეს ნაკლი განსაკუთრებულად საგრძნობელი იყო სასულიერო სემინარიის მოსწავლეთათვის. ახლა სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ დაუღალავს მკვლევარს ჩვენის წარსულისას ბ-ნს მოსე ჯანაშვილს განუზრახავს ეს ნაკლი რუსულის საეკკლესიო მწერლობისა შეავსოს. ბ-ნს ჯანაშვილს შეუდგენია რუსულად „ისტორია საქართველოის ეკკლესიისა", რომელიც სახელმძღვანელოდ უნდა გახდეს სასულიერო სემინარიებში. წიგნი ხუთის რვეულიდგან შესდგება. პირველი რვეულია „მოქცევა ქართველთა" (I—IV საუკ.); მეორე რვეული: „ისტორია ქრისტიანობის განმტკიცებისა საქართველოში" (IV—VI საუკ.); მესამე რვეული: „ბრძოლა ქრისტიან ქართველთა სარკინოზებთან" (VII—X საუკ.); მეოთხე რვეული: „აღყვავება ქრისტიანობისა საქართველოში" (X—XII საუკ.) და მეხუთე რვეული: „ისტორია საქართველოის ეკკლესიის დასუსტებისა მრავალ-საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლით მუღალებთან, ოსმალებთან და სპარსელებთან". (XIII—XVIII საუკ.). ეს წიგნი შედგენილია ჯერ დაუბეჭდავის ახალის წყაროებიდგან, რომლებიც შემდეგ წელს საქართველოის ძველ ნაშთთა საცავში აღმოუჩენია, გამოიცემა ძველებურად. პირველი რვეული მისის ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოის ექსარხოსის ფლაბიანეს ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევით უკვე ისტამბება.

*** მთავარ-მართებლის დაბრუნება. კავკასიის მთავარ-მართებელი თავ. გ. ს. გოლიცინი, გუშინ 28 ოქტომბერს, კახეთიდგან ტფილისში დაბრუნდა.

*** თანამდებობის დამტკიცება. ბ. ტფილისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა მ. ა. სულიევი ტფილისის საობლო სასამართლოს თავჯდომარის თანამდებობაზედ.

*** ვანო ხეტვიშვილის საქმე. ტფილისის ოლქის სასამართლოს უკვე გარდაეცა ბრალდებულის ვანო ხეტვიშვილის საქმე, რომელსაც ოლქის სასამართლოში ცრუ მოწმობა ბრალდება.

*** ციმბირიდან გამოქცეულის შეპყრობა. 25 ოქტომბერს, პოლიციის მესამე განყოფილების დარაჯმა ფ. გაბელიამ შეიპყრო სოფ. მცხეთის მცხოვრები, (დუშეთის მაზ.) ლუკა გარსევანაშვილი, რომელიც ციმბირიდან გამოპარულა. გარსევანაშვილი მეტეხის ციხეში დაატიმრეს.

*** ი. დ. ხერხეულიძის ანდერძი. ამ დღეებში გარდაცვლილ ი. დ. ხერხეულიძეს უანდერძებია, სხვათა შორის, 800 მან. ქ. ტფილისის ღარიბებს მცხოვრებთათვის.

*** საზოგადო ბაღი ვერის სასაფლაოზე. 27 ოქტომბერს ქალაქის გამგეობამ სთხოვა საქართველოს ექსარხოსს მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესს ფლაბიანეს, ნება გვიბოძეთ გავაშენოთ საზოგადო ბაღი წმ. ნიკოლოზის ეკკლესიასთან ვერის სასაფლაოზე, ოლგის ქუჩის მახლობლადაო.

*** სამაზრო გამგეობათა გარდაქმნა. პეტერბურგიდან იუწყებიან, რომ უკვე გადაწყვეტილია გარდაქმნილ იქმნეს მომავალ წლიდან ტფილისის გუბერნიის სამაზრო გამგეობანი.

*** ლექციები აფთექის მოწაფეთათვის. კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოების დადგენილებით, 4 ნოემბრიდან ტფილისში დაიწყება უფასო ლექციების კითხვა აფთექის მოწაფეთათვის ორჯერ კვირაში: ოთხშაბათობით და შაბათობით.

*** სამიწად-მოქმედო საწყობები. სახელმწიფო ქონებათა და მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახვა აქვს დააარსოს კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეში სამიწად-მოქმედო საწყობები, საიდანაც გადასახლებულ გლეხებს იაფად მიეცემათ სამეურნეო მანქანები და იარაღები.

*** ახალი საზოგადოება. არსდება ახალი საზოგადოება კავკასიის ისტორიულ ნაშთებისა და აგრეთვე მცხოვრებთა ზნე-ჩვეულების გამოსაკვლევად.

*** **ქალაქის სამკურნალოს განყოფილება.** ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ახალ წლიდან გახსნას კუკიაში ქალაქის სამკურნალოს განყოფილება, რაზედაც ნებართვა უკვე აუღია მთავრობისაგან.

*** **თამბაქოს მოსავალი კახეთში.** წელს კახეთში თუმცა რიოდენობით მცირე, მაგრამ ღირსებით კარგი თამბაქო მოსულა. ამის გამო მექარხნეებს ძალიან დაუჩქარებიათ და დაუხშირებიათ თამბაქოს ყიდვა. ქიზიყში წელს ძლიერ გაუმრავლებიათ თამბაქოს ყანები და ზოგიერთ მეთამბაქოეს შემოუღია თამბაქოს დასამუშავებლად გაუმჯობესებული წესები. („ნ. ო.)

*** **საქონლის ჭირი.** საგუბერნიო ბეითალი ბ-ნ კრინდერი 28 ოქტომბერს გაემგზავრა ახალქალაქის მაზრაში იქ გაჩენილ საქონლის ჭირის წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

*** **ქართული ეკლესია კავკავში.** 1 ნოემბერს კავკავის ეპისკოპოსი, ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერი აკურთხებს პირველ ქართულ ეკლესიას ჩრდილოეთ კავკასიაში. ეკლესია აშენებულია ქ. კავკავში „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზ.“ სკოლასთან. მას დაერქმევა სკოლის ეკლესია, მაგრამ მალე მას მიეწერება ყველა კავკაველი ქართველები და სკოლის მღვდელს უფლება მიეცემა შეასრულოს ყველა მღვდელმოქმედება ქართველ მრევლისათვის.

მას შემდეგ: რაც ადგილობრივი ეპარქია გაცალკევებულ იქმნა საქართველოს საექსარხოსოსაგან, ქართველ მღვდლების რიცხვი ამ კუთხეში სულ უფრო და უფრო შემცირდა, და ამ ჟამად იქ სულ რამდენიმე ქართველი მღვდელი მოიძებნება. ადგილობრივი ქართველები მიეწერნენ სხვა და სხვა ეკლესიას, სადაც წირვა-ლოცვა სრულდება მათთვის გაუგებარ ენაზე. ამ გარემოებას ყურადღება მიაქცია ყოვლად-სამღვდელო ვლადიმერმა და ქართველების სურვილის განსახორციელებლად მან მიიღო შემდეგი ზომები: 1) მოიწვია ქართველი საზოგადოება სკოლის სადგომში, მოვიდა აქ თვითონ ტაძრიდან შემოსილი და მიმართა ხალხს გრძნობით სავსე სიტყვით; 2) მიანდო ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელს გ. ნ. ფხაკაძეს ხალხთან სკოლის სადგომში სასულიერო საუბრების გამართვა ქართულ ენაზე; 3) ხშირ-ხშირად იწვევდა, არქიელის ეკლესიაში ქართველ მღვდელს და ამით შეძლებას აძლევდა ქართველებს მოესმინათ წირვა-ლოცვა სამშობლო ენაზე; 4) თვითონ ეპისკოპოსმა შეისწავლა ქართული ენა და წმ. ნინოს დღეობაზე სწირავდა რუსულსა და ქართულ ენებზე; 5) ყოველ ამის გარდა ეპისკოპოსმა აღმოუჩინა ქართველებს ნივთიერი დახმარებაც. თავის მხრით ფულის შეწირვის გარდა, მან ქართულ ეკლესიის სასარგებლოდ უწმინდესის სინოდისაგან იშოვა ერთი ათასი მანათი. არქიელისაგან ასეთი დახმარებით გამხნევებულმა ქართველმა საზოგადოებამ გადააკეთა საეკლესიო შენობათ სკოლის სადგომი, ხოლო სკოლისათვის ახალი შენობა ააგო. ქართული ეკლესია, რომელმაც უნდა დააკმაყოფილოს კავკავსა და მის მიდამოებში მცხოვრებ 10,000 ქართველის სულიერი მოთხოვნილება, აშენებულია წმ. ნინოს სახელზე.

ეკლესიის მღვდლად და სკოლის სამღვთო სჯულის მასწავლებლად დანიშნულია კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების სკოლის მასწავლებელი გიორგი ნათაძე. („ნოვ. ობ.“).

*** **ქველმოქმედთა საყურადღებოდ.** მთაწმინდაში, მესამე მთის ქუჩაზე, № 14, სარდაფში სცხოვრობს მოხუცებული ქვრივი კობიაშვილისა, ცხოვრების უღელს სახსარს მოკლებული. ეს ქვრივი ზრდის და პატრონობს სამ შვილიშვილებს. ორი მათგანი ქალია 9—10 წლისა და მესამე ვაჟია 8 წლისა ეს ვაჟი, თითქმის შიშველ-ტიტველია, ერთს აქაურს სასწავლებელში სწავლობს და იქიდანაც დღეს არა ხვალ გამორიცხავენ, რადგან მის საცოდავ დიდედას მისი სწავლის ფული ვერ შეუტანია. თუ ვინმე ღვთისნიერი გამოჩნდება და ისურვებს ამ ღვთის ანაბარად დარჩენილს ოჯახობას ხელი გაუწოდოს, კეთილ-ინებოს და შემწეობა (როგორც ფულით ისე ტანისამოსით) ზემოხსენებულის ადრესით წარმოგზავნოს მესამე მთის ქუჩა, № 14, ან „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში,

*** **დ. სამტრედია.** დუქნის გაძარცვა. 25 ოქტომბერს, კვირა ღამეს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა გასტეხა მექუდე ბეს. ბექიას დუქანი და გაიტანა 50 ცალი ქუდის ტყავი, ღირებული 400 მან.; ქურდი ვერ აღმოაჩინეს. ნეტა ღამის ყარაულები ცოტა ფხიზლად მაინც იქნებოდნენ, თორემ დადგა ზამთარი და ქურდობას კიდევ ბევრს უნდა მოველოდეთ.

*** **ს. მანდაეთი** (იმერეთი) სიყვარულის მსხვერპლი. ამთვის 14-ს საღამო დროზე აქ მეტად სამწუხარო ამბავი მოხდა. მცხოვრებ გლეხმა ი. მ—ძემ განიზრახა გლეხისავე ქალის ჩ—ძის მოტაცება, მაგრამ ქალს თურმე, უარი განუცხადებია, რის გამოისობით შეყვარებულს და გამწარებულს ყმაწვილ კაცს ხანჯლით დაუჭრია ახალგაზდა ქალი. ქალი თურმე სასიკვდილოდ დაიჭრა და მეორე დღეს გარდაიცვალა კიდეც. შეყვარებულმა ყმაწვილ კაცმა ქალის დაჭრის შემდეგ თავის-თავი ხანჯლით და დამბაჩით დაიჭრა, მაგრამ სასიკვდილოდ-კი არა. მ—ძე შეპყრობილია და გამოძიება სწარმოებს.

*** **ს. ებალაური და საჯალია** (გურია). სახალხო განათლება. ეს ორი სოფელი სხვა სოფლებთან შედარებით ცოტა არ იყოს უკან ჩამორჩენილა სწავლა-განათლებით და ზნეობრივათაც. სამრევლო სკოლა თუმცა აქ არსებობს, მაგრამ არსებობს მხოლოდ ფორმალურად, ნამდვილად, კი როგორც ჩვენში იტყვიან „მხოლოდ ბეუტავს“. შენობა უვარგისია და მოწაფეების რიცხვიც 20 არ აღემატება.

ამ სოფლების შუა ადგილას არსებობს რკინის გზის სადგური ჯუმათი. ამ სადგურზე მოვაჭრენიც არიან, მაგრამ ისინი უფრო ჩარჩობენ, ვინემ სკოლას რაიმე შემწეობას უჩენენ. ამას წინად ერთი პატარა ყმაწვილი დადიოდა აქეთ სოფლად და დაატარებდა გასასყიდათ პატარ-პატარა ქართულ სახალხო წიგნაკებს, (რომლებიც მგონი შარაძის სტამბიდან იყო). ეს ყმაწვილი მოვიდა აქ და ერთ ვაჭართაგანს წიგნები მიაწოდა. წიგნების ყიდვის მაგიერ, ამ ვაჟბატონმა ცემით შეურაცხყო საწყალი ბავშვი, წიგნები ტალახში გადაუყარა და გარეთ გააგდო! როგორ თუ სოფლად დეეთრევი და ძარცვავო. ამ ვაჭრის ნოქარს და თქვენს უმორჩილეს მონას წარსულ წელს ერთი ქართული გაზეთი მოვვდიოდა ზიარად. „ხაზეინს“ ეს არ მოსწონდა და ხშირად მისაყვედურებდა ხოლმე: „შენ გამიფუჭე ბიჭი, რა მისი საქმეა გაზეთების კითხვაო.

კუ-კუ!

*** **ს. თეკლათი** (სამეგრელო) მოსავლობა. ეს სოფელი, სხვა დანარჩენ სოფლებზე წინ არის ჭირნახულის უხვი მოსავლითა, მაგრამ წრევანდელმა წელიწადმა დიდად ხელი შეუშალა მოსავალსა. ის გლეხი კაცი, რომელიც ორას-სამას ფუთს სიმინდს ყიდა ყოველ წლივ, არა ვგონია, რომ წრევანდელი მოსავლიდან 50 ფუთი სიმინდი. ამის გამო, აქაური მხვნელ-მთესველი მუშა-კაცი, დიდად დაღონებულ-დაძმარებულია. სიმინდის ფასიც დაწეულია და მომატებულიც რომ იყოს მაინც, გასაყიდს ათში ორიც ვერ ჩიმორჩება. ღვინის მოსავალი ხომ სულ არ ავიდა. თუმცაღა პირველში გვარიანად გამოიტანა ვაზმა, მაგრამ ივლისის ცხელმა აღმოსავლეთის ქარმა ერთობ ძირს ჩამოუარა და დასწვა. ზოგიერთებს საფელამუშოც აღარ მოსვლია ტკბილი. წრევანდელს წელიწადის საზოგადოდ ყველა ემდურის აქეთ...

ტრიფონ კალანდარიშვილი.

*** **ს. ჯუმათი** (გურია). სადგურის უპატრონობა. ოცი წლის უკან იქ, სადაც ეხლა სად. ჯუმათი არსებობს, მეაგვართეები ცხოვრებდნენ თავის საქონელით. ტყეში შესავალი გზები ხშირი იყო და მცხოვრებნი ამზადებდნენ ხეებს და ტივებად ქ. ფოთში გაჰქონდათ, ტყის რუების და პალიასტომის ტბის საშუალებით. მუშები მუშაობის და მგზავრობის დროს ნადირობდნენ შველებზედ, ველურ ღორებზედ, ტვირთობით თევზებს იჭერდნენ და ქალაქიდგან უკან დაბრუნებულ მუშებს მოჰქონდათ სახლში ფული და თან ნანადირევიც. მუშებს ტყით სარგებლობა არ ჰქონდათ აღკრძალული, რადგანაც იმ დროს ტყე იმის იყო, ვისაც მოხმარება შეეძლო. მაგრამ შემდეგ კი ტყეს ისინი დაეპატრონენ, ვინც სახელით და გავლენით ძლიერნი დარჩნენ. გლეხები იმ დროს თავის მკლავით ოქროს შოილობდნენ, ქორთუხებს ხევდნენ და მშვენიერ ფიცრულ სახლებს იდგამდნენ. ებრძოდნენ სიღარიბეს და კიდევაც ძლევდნენ.

ამ საავგარნეზედ რკინის გზა გაიყვანეს, მაგრამ ის დალოცვილი მაშინა ისე გარბოდა, რომ აქაურების ამბავს არ კითხულობდა, თუმცა და სანატრელი კი იყო მისი შეჩერება. ეს ნატვრაც აუსრულდათ აქაურებს ამ შვიდი წლის წინედ. სადგურის აშენებას მოსამსახურე პირების მობრძანება მოჰყვა. ჯამაგირიან და განათლებულ პირების მობრძანებას სოფლელებიც სიხარულით მიეგებნენ და სადგურისკენ მოსახლობით მიიწიეს. ორი სახლი თუ ვინმეს ჰქონდა, ერთი დუქნად გადააკეთა და ზოგმა ახალგაზდამ „ახუნდობა“ დაიწყო... სადგურმა თვალი გამოჭიმა, ორ სართულიანმა ქვითკირის შენობამ ზეცას თავი ამოყო და ამაყურად დაიწყო ცქერა. მცხოვრებნი, ამ სადგურის საშუალებით სიმდიდრეს მოელოდნენ, გაამაყდნენ, თვალებ-დაჭყეტილები მომავალს შესცქეროდნენ და სადგურის მახლობლად ადგილები ყველა მინდვრად და სამოსახლოდ გარდააქციეს. აამოძრავეს დღემდის დახშული ტყის ჰაერი და შექმნეს პატარა წალკოტი. მოელოდნენ სადგურიდგან სიმდიდრეს და მან კი აი რა მოუტანა მათ: ტყე ჰა-

მის ტარიელებს ჩაუვარდა ხელში და ყოვლის მოურიდებლად უწესრიგოთ გაჩეხეს. ამას შედეგათ ის მოჰყვა, რომ ის რუები, რომლებითაც ტივებს პალიასტომში ამგზავრებდნენ, დაშრა და მათში დღეს კიბოც ველარ იმალავს თავს. აღარ მოაქვს მუშას ქ. ფოთიდგან ფული, გზიდგან და ხმელეთზედ ნანადირევი და წყლიდგან—კოკობა კაპარჭინაი, დღეს ტივზედ მჯდომ მუშის მაგივრად შეხვდებით პატარა, გურულად რომ ვთქვათ, ვარცხლში მჯდომ მენავეს და როცა გურიაში წარღვნაა, მხოლოდ მაშინ მიემგზავრება ქ. ფოთში, რომ იქ შეიტყოს, თუ რა სამუშაო იშოვნება. თუ გზა წაუხდა - გამოიდარა—მაშინ ვარცხლი იქ უნდა დასტიოს და ფეხით, რვა ვერსის მაგივრად, ოცდა რვა უნდა გამოიაროს შინ მოსასვლელად. ყველამ იცის, ტყე ისე არ გაიჩეხება, რომ სადმე საშეშე „ჩქოლები“ არ დარჩეს. გასცეს ტყის პატრონებმა ეს ჩქოლები საბაჟოდ მუშებზედ. ზოგი მუშა იხდის საჟენზედ 50 კ. ზოგი—40 კ. ზოგი 1 მ. 50 კ. შეცდა, ვერ მიაგნო მოაეფე ბატონპატრონი. სადგური მაინც აივსო შეშებით; ეხლა მუშას არაფერი დარჩენია თვისი ნაოფლარის გაყიდვის მეტი. ყიდის დაკლებულ ფასათ და მყიდველიც თავს იმით იმართლებს, რომ სადგური ჯუმათი არ ვარგაო. მართალიც არის, ამ სადგურს არა აქვს საკუთარი „ტარიფი“. ბათომისკენ მიმავალი ტვირთი ლანჩხუთის ტარიფით უნდა წავიდეს და ტფილისისაკენ—სუფსის სახელი. დღისით აქ სახალხო მატარებელი არ ჩერდება, რომ ვინმე შეშის მყიდველი მაინც მოვიდეს და ამის გამო დარჩა ბურთი და მოედანი „ჯამბურიძეს და კინჩხაძეს“.

ღმერთს რომ ექმნა და სადგურის მდგომარეობა წინ წაეწია, ეგებ მაშინ რაიმე სარგებლობა მოეტანა ხალხისთვის, მაგრამ სადგურს ჭირისუფალი არა ჰყავს, არვინ იწეწს მისთვის თმას და არც შავით იმოსება. ეს სადგური ოთხ საზოგადოებას ემხრობა, ოთხივედან გზა-ტკეცილი აქ იყრის თავს. სადგურს შემოსავალიც სხვაზედ შედარებით საშუალო აქვს. ამას წინეთ შემთხვევით ჩავიხედე სადგურის „ვაგონების რიგის რვეულში“ და შემდეგი ცნობა ამოვიკითხე: სად ჯუმათიდგან ბათომის მხარისკენ გასაგზავნათ კერძო პირებს მოუთხოვნიათ და დაუტვირთავთ სიმინდით თუ შეშით გასულ 1897 წელს, 1 იანვრიდგან 26 დეკემბრამდინ, 203 ვაგონი. ტფილისის მხარესაკენ გასაგზავნად მოთხოვნიათ და დაუტვირთავთ ამავე წლის 1 იანვრიდგან 26 აგვისტომდე 289 ვაგონი. ასე ნაწყვეტ-ნაწყვეტი ამოკითხვით ეს შევიტყვე და მთელი ანგარიში ხომ მეტი იქნება. ყველას, ამ სადგურის შემხედვარეს, გული გვტკივა და ზიზღით უყურებთ იმ პირთ, ვისიც ჯერს არს სადგურის ჭირისუფლება და არ უჭირისუფლებს კი. ამას წინად გარეშე პირებმა ოთხი საზოგადოების სახელით გზათა მინისტრს თხოვნა მივართვით ამ საგნის შესახებ და იმედიც მოგვცა თხოვნის შესრულებაზე.

სადგურზედ შეუდგნენ წყლის გამოყვანას, რკინის მილები, სამი წლის წინედ მოტანილი, ერთი ადგილიდგან მეორეზე გადააწყვეს და და დაითვალეს კარ-დაკეტილში არავის წაეღოსო.

აილოკ ჯ.

*** **სოფ. ფცა.** (ქართლი) რაც მამა ბენიამინ კონტრიძე დანიშნეს გორის მაზრის საეკკლესიო სკოლის მეთვალყურეთ იმდღიდგან სკოლების საქმე მიდის წარმატებაში. 24 ოქტომბერს აკურთხეს ს. ფცაში საეკკლესიო სამრევლო წერა-კითხვის სკოლა. წირვა რომ გამოვიდა, სკოლა აკურთხეს, გალობდა მოხისის საეკკლესიო სკოლის ხორო, რომელმაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გლეხ-კაცობაში. როგორც თავადობა ისე გლეხ-კაცობა ბლომად დაესწრო. ხალხი მოწადინებულია სწავლა-განათლებას, მაგრამ შეძლება არა აქვს და მიტომ გაურბის სკოლას. მიტომ პატივცემულმა ფცის მებატონემ თავადმა დავით ალექსანდრეს ძემ ბაგრატიონ დავითიშვილმა, რომელმაც კარგათ იცის გლეხების მდგომარეობა, ყოველს დღე თვალყური ეჭირა გლეხებზედ, ყველაფერში შველის ჭირში და ლხინში, ღალას და შალბაშს ბევრსარახდევინებს, აი დღეს იმისმა გულკეთილობამ იმდენად იფეთქა, რომ ხალხს დაუარსა თავისი ხარჯით სკოლა და აღუთქვა ყოველივე მზრუნველობა სკოლისა „ოღონც გონს მოდით სწავლა შეიყვარეთ, სიღარიბიდამ გამოდით და მე თქვენ არაფერს გადაგახდევინებთ სკოლისათვისაო“, კარგი იქნება თავადი დ. ბაგრატიონ დავითიშვილი ამდენს სიკეთესთან იმასაც მოახერხებდეს, რომ ხელობა იყოს სკოლაში მე ნამდვილათ ვიცი, რომ საკმაო რიცხვით მოიპოვება ფციელ გლეხის ქალების შორის, რომ კარგს ხალიჩებსა ქსოვენ, რომლებმაც ისწავლეს ხსენებულის თავადის დედისაგან და დებისაგან. ისიც კარგია რომ გლეხის ქალმა მზითვისთვის ხალიჩა მოიქსოვოს. ადგილობრივს ფცის მღვდელს მ. მიხაილ დევაძეს დიდი სიყვარული დაუმსახურებია ადგილობრივ მებატონეთა შორის თუმცა ერთი წლის მოსულია, მღვდელი თავის მხრით არაფერს იშურებს სკოლისთვის. სამღვდელოება და თავადობა ჭირი და ლხინია გლეხ-კაცობისა, ყოფილან ბურჯნი კეთილ საქმისა და იქნებიან ტალ-კვესნი ხალხის სიკეთესა. თუ ამ ორწოდებათა შორის სიყვარული და თანხმობა სუფევს, მაშინ სოფლის საქმეც კარგათ მიდის. თავადმა ლევან ამირეჯიბმა უსასყიდლოთ დაუთმო სკოლას შეშა ყოველ წლივ რაც მოუნდება და მისცა ხის მასალა, რაც სკოლის შენობას მოუნდება. დღეს სკოლა მოუწყვია თავადს დ. ა. ბაგრატონს დროებით ქვიტკირის სახლში მანამ ხისა აშენდება. მასწავლებლად დანიშნეს მიხაილ ბადრიშვილი. იმედია კარგათ წაიყვანეს სკოლაში სწავლის საქმეს და დაანახვებს ფციელ გლეხობას, რომ „სწავლაა მათი ფარხმალი, სწავლა ბედ-კრულთა მხსნელია.

პეტრე მახარბელიძე

*** **ახალ-სენაკი.** აქაური რამერუმე. ახალ-სენაკიდან, რასაკვირველია, ახალ-ახალი და ცხელ-ცხელი ამბები უნდა მეუწყებინა პატივცემული მკითხველებისათვის, მაგრამ აქაურების საუბედუროდ, აქ ახალი და თვალ-საჩინო არა მომხდარა-რა. აქაურების ცხოვრების ავან-ჩავანი არც-კია მოსაწერი, რადგანაც ვიცით, რომ—„არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდ რომ ხეხო ქვიშითა“. ამისა არ იყოს, დიდი რამ უნდა იყოს ის ადამიანი, რომელმაც აქაურებს ცოტა რამე შეასმინოს თავისის მჭევრმეტყველურის ქადაგებითა. არ იფიქროთ, ვითომც გაზეთში დაბეჭდილი ამბებით „გასწორდებოდეს მათი ნაკლულევანება, მაგრამ მაძლისა არ იყოს, ჩვენ გვიყივლია და გათენდება თუ არა, ეს რა ჩვენი საქმეა. უწინარეს ყოვლისა, ჩვენ გვინდა ამ პატარა წერილით მკითხველის ყურადღება მივაქციოთ ახალ-სენაკში სამკითხველოს უქონლობაზე. ბევრი ითქვა და დაიწერა ადგილობრივ გაზეთებში სამკითხველოს დაარსების შესახებ ახალ-სენაკში, მაგრამ სამწუხაროდ, ვერ იქმნა და ვერ, ვერ ვეღირსენით ერთს პატარა სამკითხველოს მაინც. რა არის ამის მიზეზიო, იკითხავს ცნობის მოყვარე მკითხველი? ნუ თუ ახალ-სენაკში, სადაც ასობით არის ნასწავლი ინტელიგენცია, ვერ მოუხერხებიათ სამკითხველოს დაარსებაო? თქვენს პირს თაფლი-შაქარი მკითხველო, სამკითხველოს დაარსებას კი არა, „კლუბსაც“ ააშენებენ სენაკლები ენით და არა საქმით. ენით ბევრი რამე ითქმება და კიდეც სთქვეს აქაურ „კაკარდოსნებმა“, მაგრამ ბოლო არის საქმე და ამ ბოლოს არა გვგონია მოვესწროთ მეორეთ მოსვლამდე. რა თქმა უნდა სამკითხველო თუ „კლუბის“ დაარსების შესახებ ბევრი იჭარტალეს, არა ერთხელ ქონიათ ბჭობა თათბირი და როგორც გვესმის საძუე მოწყვეტიათ თურმე. რათა? რათა და მათა თურმე, რომ ერთი ალთას გაიძახის და ცალკე იწევა, მეორე ბალთასა და განისაკენ გარბის, რის გამოც, სიტყვა სიტყვათ დარჩა, და „საქმე“ კი რუსულ “ზავტრა“-სავით სახვალიოდ გადაიდო. ასე თუ ისე, აქაური განათლებულნი თუ გაუნათლებელნი, მოვაჭრენი თუ სხვანი ყველანი თავის „ქონის“ მიკვრაზე ზრუნავენ, ყველა ესენი პირად ინტერესებს და ჯიბის გასქელებას ფიქრობს, თორემ საზოგადო საქმე-კი, „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირიო“, ფეხებზე ჰკიდიათ. სამკითხველოს უქონლობა ახალ-სენაკს ბევრს უპირატესობას უკარგავს, ბევრჯერ აჩვენა სირცხვილი უცხო მოსულ სტუმრებმა და მოსალოდნელია კიდევ უარესი სირცხვილი სჭამოს, უკეთუ იმისი დაარსების შესახებ რაიმე არ იზრუნეს. ამ მხრით ახალ-სენაკს ბევრად სჯობია მიყრუებული სოფელიც-კი და სირცხვილიც არის, რომ მკვეხარა ქოთანივით იკვეხიდეს აქაურები: სამეგრელოს პირველი ქალაქი ახალ-სენაკია და ჩვენ ვართ კაცებიო... დროა, მე და ჩემმა ღმერთმა, ახალ-სენაკელებმაც გაიღვიძონ და მიჰბაძონ სოფლელებს ამ საქმეში, თორემ სულ ძილი და ძილი ნუ თუ სირცხვილი არ არის მათთვის? სასურველია, ეს ჩვენი სიტყვები არ დარჩეს „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“ და დროისით შეუდგებოდენ სამკითხველოს დაარსების თავდარიგს..

Telefoni

*** მადლობის გამოცხადება. ბ. რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ ნება მიბოძოთ, რათა თქვენის გაზეთის შემწეობით მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებიც ხელს უწყობენ დარიბ მოწაფეთა შორის სწავლის გავრცელებას. ყველასათვის ცხადი და აშკარაა, რომ დიდი დამაბრკოლებელი მიზეზია სოფლის სკოლებში სასწავლო ნივთების უქონლობა, დიდათ და დიდათ ხელს უშლის სწავლის თანდათანობაში. წარმოიდგინეთ, დღეს რომ მოწაფეს რვეული სჭირია, რომელიც ღირს ორ კაპეიკ ნახევარი (დუქნებში-კი ხშირად 6 კაპ.), დიდი ბედნიერებაა, თუ მოწაფეთა მესამედმა 15 დღეში შეიძინეს, უმეტესობა-კი რჩება ისე, რომ წელიწადში ორს რვეულს ვერ იშოვნის. და აი ქვემოდ დასახელებულმა პატივცემულმა პირებმა დიდი შეღავათი მომცეს მე, როგორც მასწავლებელს და დიდათ დამეხმარნენ სწავ-

ლის წესიერ წარმატებაში, ასე რომ წელს სასყიდი რწმუნებულ ჩემდამო სუფსის სამრევლო სკოლის მოწაფეთ წიგნს გარდა არავითარი სასწავლო ნივთი სასყიდი არ ექნებათ. იმედია ჩვენი ახალგაზდობა, რომელიც დღითი-დღე ცნობიერებაში მოდის, მიბაძვენ ამ ადამიანებს, სხვა სკოლებსაც მიაქცევენ ყურადღებას და მოაწოდებენ თავიანთ წვლილს.

ჩვენმა სასიქადულო პედაგოგმა იაკ. გოგებაშვილმა გამოგზავნა 5 დედა-ენა და ქართული სახელმძღვანელო წიგნი. თეიმურაზ თოფურიამ 36 რვეული და 36 კარანდაში. ნიკო გელენიძემ 12 რვეული და ორი კარანდაშის წასაქნი მანქანა. კირილე ჯორბენაძემ 40 კარანდაში, 40 კალმისტარი, ორი კოლოფი კალამი და ერთი ბოთლი მელანი. ლავრენტი მიქაძემ 30 რვეული ქართულის; ესე კოპალაძემ 30 რვეული რუსულის; კალისტრატე ხომერიკმა ერთი შკაფი, ღირებული 4 მ; ბლად ნიკ. რამიშვილმა 50 კაპ. ფულად. სოლ. ქარცივაძემ 5 რვეული. ბოქაულმა სკორიკოვმა 3 რუსული წიგნი. თვალთმაქცმა კოხტაევმა სკოლის დათმობის ქირად 8 მ. და 90 კ., რომლის ნახევარი მიეცა მასწავლებელს და ნახევარი მოხმარდება სკოლას. ნეს. მხეიძემ 1 ბოთლი მელანი. ამასთანავე ვუძღვნით დიდს მადლობას სადგურის უფროსს ა. ა. ანტონოვს, რომელიც გვპირდება მზრუნველობას და დიდს დახმარებას თავისი მფარველობით. განსაკუთრებით მადლობას ვწირავთ კნეინა აბიბო გურიელისას, რომელმაც ნახევრის ფასად დაუთმო სკოლის მასწავლებელს 4 თვალი სახლი და ამით შეძლება მოგვცა, რომ მასწავლებელს ეცხოვრა, რადგან ხსენებულ სკოლას ჯერ-ჯერობით მასწავლებლის ბინა არა აქვს. კნეინა აბიბო გურიელის შემწეობა-კი უდრის წლიურად არა ნაკლებ ექვსის თუმნისა.

მმართველი სკოლისა მღ. ბართლომე ჩხარტიშვილი
მზრუნველი ბედია კომახიძე
მასწავლებელი აპოლონ წულაძე

# სამეცნიერო ცნობა

—

სწავლა-განათლება ჩინეთში. დასავლეთი ევროპიდან გამოტყორცნილმა ცივილიზაციამ ყველა დედამიწის ზურგზე მცხოვრებთ ხალხოსნობას მოჰფინა თავისი განათლების სხივი; გადაახალისა, გამოაფოლადა ადამიანის დახშული გონება და გზა-კეთილზე დააყენა. ზოგიერთი ხალხოსნობა მომზადებული იყო და მაშინვე შეითვისა ცივილიზაციის გემოვნება. მხოლოდ ზოგიერთი ეროვნება დღესაც მხარს უქცევს სწავლა-განათლებას და სიბნელეში იხშობა. ამ მხრივ უფრო მოუმზადებლელნი აღმოჩნდნენ აღმოსავლეთის ხალხები, სადაც დღესაც სწავლა-განათლება ჩამორჩენილია და ისე უცქერიან, როგორც რაიმე გასართობს საგანს. მაგალითად ავიღოთ ჩინეთი, ეს უზარმაზარი სახელმწიფო, რომელიც ნახევარ ხმელეთს უდრის. სასტატისტიკო ცნობებიდანა სჩანს, რომ ჩინეთში არსებობს მთავრობის განკარგულებით გახსნილი სკოლები, სამოქალაქო, სამაზრო და სასოფლო სკოლები თვითონ მთავრობისავე ხარჯით არსებობენ. როგორც სკოლა ისე მასწავლებლები, მაგრამ მოსწავლეები აქ ძალიან ზარმაცად დაიარებიან, რადგანაც მასწავლებლების ზედამხედველი არა ჰყავთ და სრულებით არა მეცადინეობენ. მთავრობის სკოლებში მეტი ნაწილი ღარიბი კაცის შვილები დადიან. მდიდარი კაცის შვილები უფრო თავის ხარჯით იზრდებიან და ან კიდევ საქველმოქმედო სკოლებში დაიარებიან, სადაც უფრო მეტი ყურადღებაა მიქცეული სწავლა-განათლებისათვის.

ჩინეთში კერძო სასწავლებლები ყველა სოფელში მოიპოება, მშობლები სავალდებულოთ სთვლიან მხოლოდ თავის შვილებს წერა-კითხვა ასწავლონ და კეთილსა ჭეშმარიტების ქადაგებანი. თუმცა რამოდენიმე ათასი წელიწადია, რაც სკოლები არსებობს, მაგრამ სწავლა-განათლებას ისევ უძველესი მეთოდით ასწავლიან.

დასაწყისითი სწავლას ჩინელები კარაკულიდან იწყობენ. სრულიად გონებითი განუვითარებელს ბავშვს აზეპირებდნენ ასობით და ათასობით ფიგურის ნიშნებს. ბავშვი იზეპირებს, არც სიტყვის მნიშვნელობა ესმის და არც აზრისა. ამ რიგათ სწავლება ბავშვის ბუნებაში სრულიად მეხსიერებასა ჰკლავს და არავითარის სწავლის ნიშანი არ ემჩნევათ. ჩინეთის ენაში ასოები არ არსებობს, არამედ ერთგვარი ნიშნებია, რომელთა რიცხვი 200,000 აღემატება.

ამ 200,000 ნიშნებიდან, უფრო საჭირო და აუცილებელი სახმარი 44,000 ნაშნებია, რასაკვირველია, რომ ამ უდანდარი ნიშნების შესწავლა აჩლუნგებს ბავშვის გონებას და თავგზისას ველარას იგებენ. რა წამს ბავშვი ცოტაოდნად მიხვდება ამ ნიშნებს, მაშინვე ქადაგებას და სხვა და სხვა ფილოსოფოსების აზრებს აზეპირებენ. მასწავლებელი ხმამაღლივ წარმოსთქვამს რომელიმე აზრს და მთელი კლასი იმეორებს სიტყვებს იმ დრომდე, ვიდრე სუყველა მოწაფე ზეპირათ არ დაისწავლის. ჩინეთის ბავშვები წერას ამ რიგათ სწავლობენ: აიღებენ თხელ ქაღალდს გადააფარებენ დაწერილს ნიშნებს და ჰხატავენ იქიდან. ამგვარი მეთოდის სწავლა, რასაკვირველია, სრულიად ახშობს ბავშვის გონებას და გონებითი განვითარება ერთ წერტილზე უჩერდებათ. ჩინეთის მასწავლებლები სკოლას ისე უყურებენ, როგორც ყველა ფიზიკურს სამუშაოს და ამიტომაც იქ ბავშვებს, მხოლოდ პური საჭმელად ანთავისუფლებენ. გარდა ზევით მოყვანილ საგნებისა, კიდევ ცოტაოდენს ანგარიშსაც ასწავლიან. გეოგრაფიის ხსენება, ხომ არამც თუ სასწავლებლებში არამედ თვით ღრმათ განათლებულ ჩინელებსაც არა ესმით-რა გეოგრაფიისა. ბავშვის სწავლის გაგრძელება დამოკიდებულია თვითონ მშობლებზედ. როცა თვითონა სურთ მაშინ გამოიყვანენ სასწავლებლიდან. ჩინელების აზრით ქალისთვის სწავლა-განათლება საჭირო არ არის და არც ასწავლიან. ჩინელები ქალს ისე უყურებენ, როგორც ჩამორჩენილ სუსტ არსებას და ამიტომ საჭიროდაც არა სთვლიან ქალის განათლებას. იმათი აზრით ქალმა იმდენი კი უნდა იცოდეს, რომ კერძო წერილი დასწეროს და წაიკითხოს, სხვა უმაღლესი სწავლა ქალებისთვის ამაოა.

ამ ბოლოს დროს ინგლისელები დაუახლოვდნენ ჩინელებს და მრავალი საქალებო სკოლები გახსნეს კონგ-კონგში. შანჰაიში და სხვა ქალაქებში, სადაც ჩინელების ქალები დაიარებიან სასწავლებელში. აქ ინგლისელები ფართოთ ასწავლიან ყველა საჭირო საგნებს, ხელსაქმეს და უხსნიან როგორმე დაიშალონ ის საძაგელი ფეხების დამახინჯება, რომელიც ჩინეთის ქალებს ჩვეულებათ აქვთ.

ივ. კავთელი

## ყურმოკრული საუბარი

—

ერთმა მამაცმა და თავ-მოყვარე გენერალმა სადილად პროფესორი დაპატიჟა. პროფესორი სხვა-და-სხვა საქმეებში გაერთო და გენერალთან წვევა სრულიად გადაავიწყდა. გენერალი ძალიან გაწყრა და როცა პროფესორს შეჰხვდა, ზურგი შეაქცია.

— მე დიდი მოხარული გახლავართ, გენერალო, რომ ჩემზე გაჯავრებული არა ბრძანდებით.

— მერე საიდან სჩანს, რომ გაჯავრებული არა ვარ?

— იქიდან, გენერალო, რომ თქვენ თავის დღეში თქვენის მტრებისთვის ზურგი არ გიჩვენებიათ!

გაეცინა გენერალს და შერიგდნენ.

# გამოსადეგი ცნობა

—

ცხენის ჩლიქის წამლობა. გახეთქილს ჩლიქს ცხენისას ასე უნდა ეწამლოს: ორი წილი გუტაპერჩი აიღეთ და ერთი წილი ამიაკის ფისი (аммячная смола, აფთიაქებშია) და შეადუღეთ, განახეთქი ჩლიქისა ძალიან კარგათ ამოწმინდეთ და ეს ხიზი გამთბარის დანით შიგ განახეთქში წაუსვითსე, რომ განახეთქი ამოავსოს. ხიზია მალე ისე გამაგრდება, რომ ლურსმანიც-კი დაეკვრის.

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

27 ოქტომბერი

**იალტა.** აქ მოვლენ სტამბოლიდან ოსმალეთის საგანგებო დესპანნი: საგანგებო ელჩი თურხან-ფაშა, სულთანის ფლიგელ-ადიუტანტი პოლპოლკოვნიკი განდი-ბეი და მდივანი აგირს-ეფენდი. დესპანნი გამოგზავნილ იქმნენ სულთანის მიერ, რათა ხელმწიფე იმპერატორს სალამი მიუძღვნან.

**პეკინი.** სადიპლომატო კორპუსმა გარდასწყვიტა მოსთხოვოს ცუნგლი-იამენს კანგ-პეჩილიისპროვინციიდან 13—15 ნოემბრამდე ჯარის გაყვანა, ამასთან ცუნგლი-იამენმა უნდა დაასახელოს ის ადგილი, სადაც ჯარს გადაიყვანს. ელჩები ემუქრებიან, თუ მოთხოვნილება სისრულეში არ მოიყვანეთ, ლონისძიებას ვიხმართ უზრუნველ ვყოთ რკინის გზით მიმოსვლა პეკინსა და ზღვის ნაპირს შორისო.

**ლონდონი.** დევონშირის სამხედრო ოლქის ჯარმა ბრძანება მიიღო შეიარაღდნენ და მოემზადნენ.

**ბეირუტ.** იმპერატორმა მეოოლითურთ ინახულა ქალაქი, რომელიც ამის გამო მორთული იყო.

**პარიზი.** პალატამ გადასწყვიტა ხვალ განიხილოს შეკითხება ფაშოდის შესახებ. სენატმა გადაწყვიტა ხუთშაბათს განიხილოს დელონის წინადადება იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელიც საჭიროა მიღებულ იქმნას, რათა ჯარს შეურაცხყოფა ააცდინონ.

**სამარყანდი.** პრინცი ოლდენბურგისა სამარყანდში მოვიდა.

# განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება
ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგად. წიგნის მაღაზიაში
ამავე საზოგადოების ახალი გამოცემანი:

1) ამოდის, ნათლება! და სხვა მოთხრობები, ვაჟა-ფშაველასი. ფასი 15 კ.

2) კრილოვის არაკები, თარგმანი აკაკისა, მესამე გამოცემა, სურათებით. ფასი 30 კ. (10—8)

... Тифлисъ 27 Октября 1898г. სტ. „ცნ. ფურც.“ (გ. ჯ...), რედაქტორ-გამომცემელი გ. ზუბა